საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/79 “ 21 ” სექტემბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2022 წლის 15 აგვისტოს №06-7200 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში სარემონტო სამუშაოების განხორციელების თაობაზე. წერილში აღნიშნულია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ასევე ხელვაჩაურისა და სიღნაღის რაიონულმა სასამართლოებმა საერთო სასამართლოების დეპარტამენტისაგან მოითხოვეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ხელვაჩაურის რაიონული, ქედის, შუახევისა და ხულოს მაგისტრატი სასამართლოებისა და საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლოს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ჩატარება. აღნიშნული სამუშაოების განხორციელების საჭიროების საკითხი ადგილზე იქნა შესწავლილი საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ და კომისიის დასკვნით დადგინდა სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების განხორციელების საჭიროება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის“ მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოები.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი